



საქართველოს საპატარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

საგანმანათლებლო პროგრამა-გეოფიზიკა

ნონა ლურსმანაშვილი

წარმოდგენილი ნაშრომის

**საქართველოს სეისმურად აქტიური
სტრუქტურების შესწავლა და კვლევის
მეთოდის შერჩევა (“ბორჯომი-ყაზბეგის
რღვევის” მაგალითზე)**

ავტორეფერატი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად გეოლოგიაში

მიმართულება-05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

დარგი/სპეციალობა-0506 გეოლოგია

თბილისი

2015

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტზე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა ადამია, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: 1. რუსუდან ჩაგელიშვილი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა აკ.დოქტორი;
2. გივი მაისურაძე, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2015 წლის 27 ივლისს 14 საათზე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, I კორპუსი, IV სართული, წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2015 წლის 26 ივნისს

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფიზიკა-მათემატიკის

აკადემიური დოქტორი

გიორგი მაქაცარია

24-25 June, Abstract, 5-6.

[8] Amanatashvili, Sh., Adamia, Sh., Lursmanashvili, N., Sadradze, N., Meskhia, V., Koulakov, I., Zabelina, I., & Yakovlev, A., Tectonics, deep-seated structures and recent geodynamics of the Caucasus. European Geosciences Union, General Assembly, Vienna, Austria, 22-27 April, 2012, Abstract Book, 3.

[9] Lursmanashvili, N., Lebanidze, Z. Adamia, Sh., Sadradze, N., (2013). Borjomi- Kazbegi Active strike-slip Fault: Reality or fiction. 1st International Conference and Workshop, Caucasus. Active Tectonics and Magmatism-Hazards and Resources. Tbilisi, Georgia, Ilia State University, 29 August- 3 September,

[10] Adamia, Sh., Alania, V., Chabukiani A., Chkhotua, T., Erukidze O., Lursmanashvili, N., Nadareishvili S., Sadradze, N., Zakariadze, G., (2013) Geology of Georgia-Eastern Black Sea: a Review. Geological Society of America. 125 Anniversary Annual Meeting Expo. 27-30 October, Denver, USA, Session: T 188, Tethyan Evolution and Seismotectonics of Southwest Asia, Programme Book, p.290.

[11] Alpaidze, V., Beridze, T., Koiava, K., Lebanidze, Z., Lursmanashvili, N. (2014). Quaternary development of the Vere River Valley and meander formation: Geomorphologic paradox. Proceedings of the Second Plenary Conference of IGCP 610 "From the Caspian to Mediterranean: Environmental Change and Human Response during the Quaternary" (2013-2017). 14-17.

1. ნაშრომის ზოგადი მიმოხილვა

კავკასიის ლითოსფეროს აგებულების და მისი ფორმირების თავისებურებათა კვლევა მუდმივად იყო მკვლევართა ყურადღების საგანი, თუმცა ამ საკითხისადმი ინტერესი ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა, მათ შორის რეგიონის სეისმოტექტონიკისადმი.

ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისით, სეისმოაქტიური სტრუქტურებიდან კავკასიის რეგიონისა და მიმდებარე ტერიტორიისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრუქტურას წარმოადგენს ე.წ. "ზორჯომი-ყაზბეგის რღვევა" ("ზყრ").

საკვლევი ობიექტი მოიცავს საკმაოდ დიდ არეალს, კერძოდ თურქეთიდან დაწყებული, გადაკვეთს მთელ საქართველოს და მთავრდება ჩრდილო კავკასიაში. არაერთი მკვლევარი მიიჩნევს რომ, ე.წ. ზყრ ყოფს კავკასიას გეოლოგიურად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. ამ მკვლევარების თანახმად, რღვევა კვეთს მთელ ქერქს და M ზედაპირსაც და წარმოადგენს მარცხენა ნაწევს, ხოლო, რღვევიდან დასავლეთი მხარე გადაადგილებულია სამხრეთისაკენ ~90კმ-ით. ითვლება რომ აღნიშნული გადაადგილება მოხდა ბოლო 5.0-3.5 მილიონი წლის განმავლობაში, ე.ი. მას შემდეგ რაც დამთავრდა კავკასიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება, როგორებიცაა კავკასიონის და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-რღვევითი მთიანი სარტყლები და საქართველოს ბელტი. გადაადგილების სიჩქარე წელიწადში 1.8-2.5 სმ-ს შეადგენს. ზყრ-ის იქეთ-აქეთა მხარეები ერთმანეთისგან სეისმური თვალსაზრისითაც განსხვავებულია.

საკვალიფიკაციო თემის ფარგლებში, თანამედროვე მეთოდების საშუალებით, შესრულებულია სეისმურად აქტიური სტრუქტურის კომპლექსური კვლევა ე.წ. "ზორჯომი-ყაზბეგის რღვევის" მაგალითზე, ჩატარებული კვლევა წარმოადგენს კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს, გეოდინამიკური მოდელის დასაზუსტებელი კომპლექსური კვლევის დემონსტრირებას.

- Locations of extinct volcanoes of the Great Caucasus do not match with the proposed Borjomi-Kazbegi Fault. Mt. Mkinvartsveri (Kazbegi) and centers of Neogene-Quaternary volcanoes of Keli Plateau are not discontinued from each other or displaced horizontally in the opposite directions.
- The map of earthquake epicenters does not confirm opinion on the difference between the areas extended east and west from the proposed BKF. The seismic activity in the entire area is even.
- The data of gravimetric and magnetometric surveys does not point to any displacement of the field contour lines across the proposed fault.
- The special multidisciplinary study using the geomorphological, topographic, geodetic, geological, seismological, anomaly gravity and magnetic field methods have not resulted in any evidences supporting the occurrence of the proposed fault.
- The seismic activity of Georgia, Caucasus and entire basin located between the Black and Caspian Seas, is mainly explained by about 25-30 mm/year rated north convergence of the Arabian microplate, regional crust deformation and disposition of the tectonic and geomorphological (topographic) units matching with the wedge shape of the Arabian microplate, as well as with the layout of Black Sea and south Caspian Sea areas with oceanic and sub-oceanic crust patterns.

3. Publications Related to Dissertation Theme

The 4 papers related to the dissertation theme have been published, including 1 paper in the high rating scientific edition. 1 paper is dassed and received for publication in also high rating edition (with impact-faqtor).

[1] . Lursmanashvili N. (2013). Reality of Borjomi-Kazbegi Fault (Case Study of Borjomi Valley). M. Nodia Institute of Geophisics, Proceedings, vol.LXIV. 46-53 (in Russian).

[2] Lursmanashvili N. (2014). Research of the seismic activity of tectonic structure: An example of the Borjomi- Kazbegi “Fault”. Georgian Engineering News. N1,vol.6. p.72-77 (in Georgian).

[3] Lursmanashvili N. (2015).Geometry, kinematics and active tectonics of earthquake sources-fractures in Georgia and neighboring territories. Georgian Engineering News .N1,vol.73, p.91-92 (in Georgian).

[4] Adamia,Sh., Chkhotua,T.,Gavtadze,T.,Lebanidze,Z.,Lursmanashvili, N., Sadradze,N., Zakaraia,D., Zakariadze,G., (2015). Tectonic setting of Georgia-eastern black sea: a review. Geological Society, London, Special Publications , (იმპაქტ-ფაქტორი).

[5] Adamia,Sh., Alania,V., Tsereteli ,N., Varazanashvili ,O., Sadradze, N., Lursmanashvili, N., Gventsadze, A., (2015). Post-Collisional Tectonics and Seismicity of Georgia. Proceedings Volume on SW Asian Geology for the Manuel Berberian GSA Session, Denver, USA (in print. იმპაქტ-ფაქტორი).

6 Abstracts of lectures at International Scintific Forums have been published:

[6] Adamia Sh., Bombolakis E., Martin R., O’Konnor T., Szymansky E., Tsereteli N., Lursmanashvili N.. (2009). Borjomi-Kazbegi Strike-Slip Fault: Does It Exist? 2 th Internacional Symposium on the Geology of the Black Sea Region. Ankara, Turkey. Abstract Book, 9-10.

[7] Adamia,Sh., Alania, V., Chabukiani, A., Enukidze, O., Lursmanashvili, N., Sadradze, N., Zakariadze, G., 2013. Geology of Georgia-Eastern Black Sea; a Review. Darius Program, Eastern Black Sea and Caucasus , Tbilisi, Georgia, Abstract volum,5-6.

სარჩევი

1. ნაშრომის ზოგადი მიმოხილვა	4
1.1 თემის აქტუალობა	5
1.2 კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები	6
1.3 კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები	6
1.4 ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები	7
1.5 ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა	8
1.6 ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა	8
1.7. ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა	9
2. ნაშრომის ძირითადი შინაარსი	9
2.1. შესავალი	9
2.2. თავების ანოტაცია	9
2.3. დასკვნები	19
3. დისერტაციის თემასთან დაკავსირებული პუბლიკაციის ნუსხა	21

კავკასიის რეგიონი დიდი ხანია განიხილება სოლური ტექტონიკის ერთ-ერთ მაგალითად, ბორჯომი-ყაზბეგის მარცხენა ნაწევი მიჩნეულია აქტიურად შემოჭრილი არაბეთის სოლის დასავლურ საზღვრად, ამიტომ სავარაუდო "ბორჯომი-ყაზბეგის" რღვევის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია კავკასიის რეგიონის სეისმურობის დაზუსტებისთვის.

1.2 კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სეისმურად აქტიური სტრუქტურების კვლევისთვის აუცილებელი მეთოდების შერჩევა, დახვეწა და მათი გამოყენება კონკრეტული ობიექტების, კერძოდ ე.წ. "ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის დეტალური შესწავლის მიზნით. კვლევის ფარგლებში ეტაპობრივად განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

- რღვევების (მათ შორის ე.წ. "ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის") შესახებ არსებული ლიტერატურის მოძიება, გაცნობა და კრიტიკული ანალიზი;
- საკვლევი რეგიონის, ანუ სავარაუდო რღვევის ხაზის გასწვრივ ორივე მხარის კომპლექსური მეთოდებით: სავლე-გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, გეოდეზიური GPS, სეისმური ტომოგრაფიული, სეისმოლოგიური კვლევა.
- გეოდინამიკური პირობების რეკონსტრუქციის საფუძველზე რეგიონის სეისმოლოგიური საშიშროების შეფასება და საჭირო რეკომენდაციების გაკეთება.

1.3 კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

საკვლევი ობიექტი კვეთს საქართველოს მთელ ტერიტორიას, უფრო კონკრეტულად კი ვრცელდება სავარაუდო "ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის" ხაზის მომცველ საკმაოდ ფართო არეალზე. საკვლევი ობიექტის შერჩევა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:




Fig. 9. Map of $M \geq 5$ earthquake epicenters.

Above map of seismic sources and epicenters does not support the opinion on the uneven seismicity of the areas extended over the opposite sides of the proposed BKF.

Chapter 7 ("Drivers of Geodynamic Activity of Georgia and the Caucasus") overviews the challenges experienced in exploring history and mechanisms relevant to the formation of the contemporary lithosphere structure. This chapter, also, provides the layout of deep geotectonic structure of Georgia and its adjacent areas confirmed in result of deep seismic sounding, as well as presents the appropriate seismic tomography model. The main characteristics of the faults of the region are determined with due account of the regional faults geometry, kinematics and active tectonics.

2.3. Conclusions

- The need for using multidisciplinary methods for study of the important seismic structures is emphasized. The research practices employed should include geomorphology, seismology, geodesy, geology, map analysis, seismic tomography and interpretation of stationary GPS data. As an example, such methods have been applied for investigation of the proposed Borjomi-Kazbegi Fault considered as the active west boundary of the Arabian wedge encroached from the south.
- The analysis of geomorphologic maps has shown that the boundaries of Georgia's main geomorphological units (Great Caucasus Range, Intermontane Depression of the Trans-Caucasus and South Georgia's mountains) are not displaced under the impact of proposed Borjomi-Kazbegi Fault.
- No displacements were revealed along the proposed BKF in result of analysis of the topographic maps. The hydrographic network is not disturbed. All topographic features continuously cross the proposed fault zone.
- The data obtained from GPS stations point that directions and rates of the dislocations at both sides of the proposed BKF line are the same, i.e. no opposite displacement occurs due to strike-slip effect.
- Structural stresses and slickenside alignments observed in the study area (e.g. in Borjomi valley) should be explained by compressional impacts, but not the influence of the left-lateral movement.
- Tectonic zones and sub-zones, as well as their boundaries are not displaced or disturbed under the proposed strike-slip effect. No structure shows any sign supporting their opposite movements due to the fault impact.
- The foregoing conclusions have been justified by geological mapping, geological maps and profiles. In the case of the BKF occurrence, displacements of the mapped geological units should be obvious, especially if the strike-slip of such a considerable displacement existed.

1.1 თემის აქტუალობა

კაცობრიობისათვის კარგად არის ცნობილი მიწის ზედაპირზე ლითოსფეროს სწრაფი, მყისიერი დეფორმაციების კატასტროფული გამოვლინებები, როგორებიცაა მიწისძვრები და ვულკანიზმი. ასევე ათასობით ადამიანთა მსხვერპლი, უზარმაზარი მატერიალური ზარალი, გარემოს გაჩანაგება-ასეთია სტიქიური ბუნებრივი მოვლენების შედეგები.

მიწისძვრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ხდება, თუმცა მათი კერები მკაცრად არიან ლოკალიზებული ლითოსფერული ფილების საზღვრებთან, ამიტომ მიწისძვრის წყაროს-სავარაუდო რღვევის არსებობის დადგენა, გამოკვლევა და დაზუსტება აქტუალურია არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რიგი ობიექტების სეისმური უსაფრთხოებისა და რისკების შეფასებისთვის, რომელთა შორისაა წყალსაცავები და კაშხლები (მაგალითად, ჯვრის წყალსაცავი მდ. ენგურზე, ჟინვალის წყალსაცავი მდ. არაგვზე და ა.შ.), ნავთობის და გაზის მილსადენები, დასახლებული პუნქტები და ა.შ. მით უმეტეს სეისმურად ისეთი აქტიურ რეგიონში, როგორიცაა კავკასია, კერძოდ კი საქართველო. საქართველოსა და მიმდებარე ქვეყნებში გამოირჩევა სეისმური თვალსაზრისით აქტიური რღვევების სამი ძირითადი მიმართულება, რომელთა შორის გაბატონებულია მერიდიანული მიმართების კუმშვითი სტრუქტურები. ასეთი ძირითადი მიმართულებებია სუბგანედური (დჩდ) ან განედური (დ-ა), ჩა-სდ და ჩდ-სა. ე.წ. „კავკასიური“ მიმართულებების გასწვრივ არსებული სტრუქტურები კუმშვითი ხასიათისაა - შესხლეტვები და ძლიერ შეკუმშული რღვევაგანვითარებადი ნაოჭები. განივი გავრცელების რღვევები ასევე კუმშვითი სტრუქტურებია, მაგრამ „კავკასიური“ მიმართულებების სტრუქტურებისგან განსხვავებით სხვადასხვა სიდიდის ნაწევური კომპონენტებით ხასიათდებიან. ჩა-სდ მარცხენა ნაწევები მთავარი სეისმოაქტიური სტრუქტურებია საქართველოში.

- ეს მონაცემები კითხვის ქვეშ აყენებენ რღვევის არსებობას . კომპლექსურმა კვლევამ არ გამოავლინა არავითარი მონაცემები აღნიშნული რღვევის არსებობის თაობაზე. ყველა ტოპოგრაფიული და გეოლოგიური მარკერი უწყვეტლივ გრძელდება აღნიშნული “რღვევის” ორთავე მხარეს.
- არცერთი სტრუქტურა არ იძლევა არავითარ ნიშანს მათი ნაწევური “რღვევით” გადანაცვლების სასარგებლოდ.

1.5 ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა

“ბორჯომი-ყაზბეგის“ რღვევის შესწავლის შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ მიწისძვრის წყაროს–სეისმოაქტიური სტრუქტურის რეალობის დასადასტურებლად საჭიროა სტრუქტურის გამოკვლევა კომპლექსური გეომორფოლოგიური, გეოდეზიური, სტრუქტურულ-გეოლოგიური, სეისმოლოგიური, ლითოსფეროს სიღრმული აგებულების გრავიტაციული და მაგნიტომეტრული მეთოდებით. ნაწევური სტრუქტურების იდენტიფიკაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით ეფექტურია მდინარეული ქსელის ტოპოგრაფიული ანალიზი, სამარკერო გეოლოგიური სტრუქტურების (რღვევა, ნაოჭთა ღერძები, ლითოლოგიური და სხვ. საზღვრები) მსხვილმასშტაბიანი კარტირება, ჰორიზონტალური გადაადგილების მიმართულების და სიდიდის გაზომვა GPS აპარატურის გამოყენებით და მიწისძვრის ეპიცენტრების ხაზოვანი განლაგების და მიწისძვრის კერის მექანიზმების მონაცემთა გათვალისწინება.

1.6 ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

პრაქტიკული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს საკვლევ რეგიონში სავარაუდო რღვევის რეალობის დადგენას, რადგან რღვევის ხაზის არსებობას ყოველთვის თან ახლავს მიმდებარე ტერიტორიის გაძლიერებული საისმურობა. თავის მხრივ, სეისმური აქტივობა ერთ–ერთი ძლიერი ბუნებრივი მივლენაა, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს და მატერიალურ დანაკარგს. ამასთან, ერთად, ძლიერი მიწისძვრები ხელს უწყობენ მეწყრული, ღვარცოფული და ზვავური პროცესების წარმოქმნას, დაჩქარებას და პროვოცირებას.




Fig. 8a. Geological Map of the Caucasus (1:1000000)




Fig. 8b. Geological Map of Georgia (1:500000)

Neither of the reviewed State Geological Maps shows any displacement of the geological units that should be obviously evident in the case of occurrence of the proposed Borjomi-Kazbegi Fault, especially of such a large displacement as noted by some researchers. Regarding extinct volcanoes, it may be stated that their locations obviously do not match the probable BKR line. It should also be noted that no discontinuities have

been observed in the spatial distribution of volcanic centers and/or lava flows. The map clearly shows that Neogene-Quaternary volcanoes are distributed at the both sides of the so-called “strike-slip”.

The tectonic slickensides (fault mirrors) have been reviewed, and rock brake nature and classification have been described. The most of them are extended vertically, semi-vertically or at the various angles to the horizon. However, the slickensides of various orientation developed in the rocks of Borjomi valley do not support to the occurrence of the strike-slip fault. The structural stress directions (north-west) evidence an influence of the compression forces, instead of the strike-slip effect.

This chapter also reviews results of the special regional study carried out for specification of the deep geological structure of the subject region applying the seismological, anomaly gravity and magnetic fields, and deep seismic sounding methods.

The completed studies did not reveal any discontinued/displaced geological units, boundaries or other linear features. The seismic activity along the proposed BKF is much lower comparing to the same at its opposite sides as evidenced by the new map of earthquake epicenters. According to the contemporary instrumental observations carried out within the improved seismic network, no high intensity earthquakes are detected along the proposed fault (Fig. 9).

- (1) საქართველოს და მთლიანად კავკასიის ტექტონიკა და გეოლოგიური ევოლუცია არსებითად განპირობებულია მდებარეობით ევრაზიის და აფრიკა-არაბეთის ლითოსფერულ ფილებს შორის, კონტინენტური კოლიზიის და დეფორმაციის ვრცელ ზონაში.
- (2) კავკასიასა და კერძოდ საქართველოში საისმოქტიური თვალსაზრისით არაერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურა არსებობს, რომლებიც იმსახურებენ სპეციალურ კომპლექსურ, კარგად კოორდინირებულ შესწავლას გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, გეოფიზიკური და გეოდეზიური მეთოდებით.

კითხვები, რომლებიც ეხება საკვლევი ტერიტორიის აგებულებას და კინემატიკას შემდეგია: (1) როგორია საკვლევი რეგიონის დეფორმაციის სტრუქტურული ქარგა; (2) როგორია დეფორმაციის კინემატიკა; 3) რამდენად დასაბუთებულია რღვევის არსებობა.


კვლევის დროს გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

- გეოლოგიური რუკების ანალიზი;
- არსებული გეომორფოლოგიური, სეისმოლოგიური, გეოდეზიური, სეისმური ტომოგრაფიის, სტაციონარული და პორტატული GPS სადგურების და აპარატურის მონაცემების ინტერპრეტაცია.

1.4 ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები.

- ახალი გეომორფოლოგიური, გეოდეზიური, გეოლოგიური და სეისმოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაზუსტებულია საკვლევი ტერიტორიის აგებულების, დეფორმაციების ასაკის და კინემატიკური პროცესების მექანიზმის თავისებურებები.

თავში „მიწისძვრების ლოკალიზაცია დროსა და სივრცეში“ განხილულია მიწისძვრების კავშირის საკითხი ე.წ. „სეისმოფოკალურ“ ზონებთან და დაწვრილებით არის აღწერილი თითოეული სეისმურად აქტიური ზონა (სურ.1).



სურ.1. წყნარი ოკეანის და ხმელთაშუა ზღვა–ჰიმალაების სეისმოაქტიური სარტყლები,

თავში „საქართველო - სეისმურად აქტიური გლობალური სარტყლის ნაწილი“ დახასიათებულია საქართველოს ლანდშაფტი, ტექტონიკური პოზიცია, ძირითადი ტექტონიკური ერთეულები, მიწის ქერქის აგებულება, სეისმურობა და სეისმოაქტიური სტრუქტურები, ასევე მიწისძვრის წყაროები (რღვევები და წყვეტები) და მოცემულია აღმოსავლეთი შავი ზღვის გეოლოგიური ერთეულების ჩამონათვალი.

თავში „საქართველოს სეისმურად აქტიური სტრუქტურები: ბორჯომი-ყაზბეგის რღვევა, მისი გამოყოფის და კვლევის ისტორია“ განხილულია ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის (ბყრ), როგორც მნიშვნელოვანი სეისმოაქტიური სტრუქტურის, აღმოჩენის და მისი პარამეტრების დადგენის საკითხები. ბყრ განიხილება როგორც ჩა-სდ მიმართების ნაწევი, რომელიც იწყება თურქეთში, გადაკვეთს

Neither any displacements are identified along the probable BKF, nor any disturbances of orographic and hydrographic networks are found in result of analysis of the above maps.

The data obtained from GPS measurements allowed to judge occurrence of the probable BKF in the study area. The Arabian-Caucasian microplate moves at about 30 mm/year towards the north-east. Within the Caucasus, this rate considerably decreases towards the north. In Turkey, direction of the lithosphere movement changes to the west-north-west. Due to the plate convergence, the Caucasian plate undergoes compression and breaks provoking the earthquakes (Fig. 6). Nowadays, displacement values and directions at both sides of the so-called BKF are the same, i.e., at present, no opposite displacements caused by the BKF’s strike-slip affect occur.




Fig. 6. GPS measurements show equal displacements of the lithosphere at both sides of the so-called BKF, approximately towards the north.

Geological study of the subject area involved review of geological structure of the Caucasus, along with nature of its principal tectonic units. The general layout of the geotectonic units reflects the current geological structure of Georgia's territory. The structures were not created simultaneously, but instead formed in result of long geological development. Observation of the boundaries among zones and sub-zones does not show any displacement (or disturbances of such units under the affect of proposed Borjomi-Kazbegi Fault). Also, no displacements are identified from the 1:500000 geological and tectonic map of Georgia published more recently (Fig. 7).




Fig. 7. Tectonic zoning of Georgia

The maps prepared and published in result of the completed State Geological Surveys were also used for checking occurrence of the BKF. The 1:1000k, 1:500k, 1:250k, 1:200k, 1:50k, 1:25k and 1:10k scale maps have been reviewed in detail and the results relevant for judging about occurrence of the possible fault have been presented (Figs, 8a, 8b).

ამიტომ, აღნიშნული სავარაუდო რღვევის არსებობა-არარსებობის დამტკიცება მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის სეისმური საშიშროების დასადგენად.

1.7. ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი წარმოდგენილია 113 ნაბეჭდ გვერდზე და შედგება შესავლის, 7 თავის, დასკვნის, ციტირებული ლიტერატურის ჩამონათვალი (83 დასახელება).

2. ნაშრომის ძირითადი შინაარსი

2.1. შესავალი

საკვალიფიკაციო ნაშრომში განხილულია კავკასიის რეგიონის აქტიური რღვევების ძირითადი პარამეტრები, მათი გეომეტრია და გაბატონებული მიმართულებები, რომელთა შორის უფრო მეტ სიხშირით წარმოდგენილია სუბგანედური მიმართების ჩ-ს შეკუმშვითი სტრუქტურები და სტრესები. ცენტრალურ საქარველოში მთავარი სეისმოაქტიური სტრუქტურები კუმშვით ხასიათის ჩა-სდ მიმართების მარცხენა ნაწევებით გამოიხატებიან.

2.2. თავების ანოტაცია


თავში „მიწისძვრა როგორც მოვლენა, მისი გამომწვევი მიზეზები“ განხილულია მიწისძვრა როგორც ლითოსფეროს ფილების გადაადგილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი გეოდინამიური მოვლენა, მისი წარმოშობის და განვითარების ფიზიკური პროცესები. ყურადღება გამახვილებული მიწისძვრების გამომწვევ მიზეზებზე, რომლებიც, დედამიწის შიგნითაა და ამიტომ მის მიერ გამოწვეულ მოვლენებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს. ამ თავში მოყვანილია ისტორიული და ინსტრუმენტული პერიოდების მიწისძვრების ზოგიერთი მაგალითი.

1: 500000, 1976; ასევე საქართველოს 1: 500000, 1: 200000 და სხვა მასშტაბის გეოლოგიური რუკები.

თავში „**ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის რეალობის დასადგენად შერჩეული მეთოდები**“ ჩამოთვლილი და განხილულია ყველა ის მეთოდი, რომლებიც გამოყენებულია სავარაუდო რღვევის რეალობის დასადგენად, კერძოდ:

- გეომორფოლოგიური მეთოდი;
- ტოპოგრაფიული მონაცემების ანალიზის მეთოდი;
- გეოდეზიური-GPS მეთოდი;
- გეოლოგიური (ტექტონიკური დარაიონების, გეოლოგიური აგეგმვის ანუ კარტირების) მეთოდები;
- გეოფიზიკური (სეისმოლოგიური, გრავიმეტრიული, მაგნიტური) მეთოდები.

საქართველოს ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ოლქად: I-კავკასიონი; II-ამიერკავკასიის მთათაშუა ჩადაბლება; : III - სამხრეთ საქართველოს მთიანეთი (სურ.3).



სურ.3. საქართველოს გეომორფოლოგიური რუკადა ე.წ. ბორჯომი-ყაზბეგის მარცხენა ნაწევნი.

ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის მოქმედებით ათეული კილომეტრით გადაადგილების შემთხვევაში, საქართველოს ძირითადი მორფოლოგიური ერთეულების საზღვრები ძალზედ მნიშვნელოვნად უნდა იყოს შეცვლილი. მაგრამ როგორც რუკიდან ჩანს, მთავარი გეომორფოლოგიური ერთეულების საზღვრები არ

Chapter 6 (“**Methods Selected for Determining Occurrence of the Borjomi-Kazbegi Fault**”) provides the list and review of all methods used for identifying the actual existence of the proposed fault, including:

- Geomorphological study
- Topography data analysis;
- Geodetic (GPS) Survey;
- Geological investigation (tectonic zoning, geological surveying/mapping);
- Geophysical methods (seismologic, gravimetric, magnetometric).

With respect to geomorphology, Georgia may be divided into the following 3 major zones: 1. Great Caucasus (Caucasiani), 2. Intermontane Depression of the Transcaucasus, and 3. South Georgia’s Highlands (Fig. 3).




Fig. 3. Proposed left-lateral Borjomi-Kharagauli Fault depicted on the geomorphological map of Georgia

Assuming that the Borjomi-Kazbegi Fault exists, resulted several tens kilometer long displacement of the major morphologic features of Georgia should translate into significant displacement of the actual boundaries. However, as shown on the above map, no such displacement is evident.

In the section devoted to topography analysis, topographic maps of the Borjomi and Tergi River valleys have been studied (Figs. 4 and 5).



Fig. 4. Topographic map (1:25000) of the Borjomi-Kortaneti section of the Mtkvari River valley



Fig. 5. Topographic map (1:50000) of the Kobi-Kazbegi section of Tergi River valley.

მთელ საქართველოს და გრძელდება ჩრდილო კავკასიაში (სურ.2). ამ რღვევის სამხრეთი ნაწილი - ბორჯომის რღვევა, გამოყო ჰაბიხმა, ხოლო ჩრდილო ნაწილის ავტორია ე.მილანოვსკი, რომელმაც სტრუქტურას "ცხინვალი-ყაზბეგის რღვევა" უწოდა. ბერ, როგორც მარცხენა ნაწევი ~60 კმ ჰორიზონტული ამპლიტუდით, მოხსენიებულია ლუკინას მიერ. ზოგიერთი სხვა მკვლევარის აზრით ეს სიდიდე მიახლოებით ~90 კმ-ს შეადგენს (Philip et al.1989).




სურ.2. სავარაუდო "ბორჯომი-ყაზბეგის რღვევა" (ბერ)-მარცხენა ნაწევი.

ამ რღვევის ავტორების აზრით ბერ-ის გამო, გეოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული დასავლური და აღმოსავლური ნაწილები, ერთმანეთისგან განსხვავებულია სეისმური თვალსაზრისითაც.

თავში „ბორჯომი-ყაზბეგის რღვევის არსებობის რეალობა“ ჩამოყალიბებულია ის მონაცემები, რომლებიც ექვეყნე აყენებენ ამ რღვევის არსებობას. რიგმა როგორც ადგილობრივმა, ასევე უცხოელმა მკვლევარებმა უარყვეს ბერ. ერთ-ერთი ძირითდი არგუმენტი ამ რღვევის არარსებობის სასარგებლოდ არის გეოლოგიური აგეგმვის მასალები, ასახული სხვადასხვა მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიურ რუკებზე. მაგ.: დასავლეთ კავკასიის 1: 1000000 K-(37), (38), 1982; საქართველოს 1:600000, 1964; კავკასიის

GPS გაზომვებით მიღებულმა მონაცემებმა საშუალება მოგვცა ვიმსჯელოთ საკვლევ არეალში ჩვენთვის საინტერესო ბერ არსებობა-არარსებობის შესახებ. არაბეთი-კავკასიის მიკროფილა ~30მმ/წელიწადში სიჩქარით მოძრაობს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. კავკასიაში გადაადგილების სიდიდე/ტემპი ჩრდილოეთისკენ მნიშვნელოვნად კლებულობს. თურქეთში ლითოსფეროს მოძრაობის მიმართულება დასავლური-ჩრდილოდასავლური ხდება. ფილების კონვერგენციის გამო კავკასიის ლითოსფერო იკუმშება, იმსხვრევა, ადგილი აქვს მიწისძვრებს (სურ. 2). ამჟამად ე.წ. ბერ-ის ორივე მხარეს გადაადგილების სიდიდე და მიმართულება ერთნაირია. ე.ი. დღეს ბერ-ის ნაწევით მხარეების ურთიერთსაწინააღმდეგო გადაადგილება არ არსებობს.



სურ.6. GPS მონაცემები უჩვენებენ, რომ ე.წ. ბერ-ის ორივე მხარეს საქართველოს ლითოსფეროს გადაადგილება ერთნაირია, დაახლოებით ჩრდილოეთური

